ÈÀÅÉ III

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი

განისაზღვროს საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული მოცულობა 216 795.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გარდამავალი საბრუნავი სახსრები

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს 2006 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრებით, 37 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მსოფლიო ბანკის მიერ გამოსაყოფი გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტით, 36 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი, გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტებით, 143 295.0 ათასი ლარის ოდენობით.

გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები

ათას ლარებში

N	პროექტების დასახელება	დაფინანსება
	კრედიტები	**143 295,0**
1	პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი	9 417,5
2	სოფლის განვითარების პროექტი	7 404,5
3	ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციის განვითარების პროექტი	10 762,8
4	სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი	4 186,0
5	მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტი	10 061,8
6	საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი - პირველი პროექტი	809,0
7	საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი - მეორე პროექტი	15 501,2

8	კერძო საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტი	910,0
9	სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი	1 004,6
10	სასამართლო რეფორმის პროექტი	819,0
11	სტრუქტურული რეფორმის მხარდამჭერი პროექტი	3 801,5
12	ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტი	2 437,3
13	საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი	8 350,5
14	საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი	25 208,0
15	გზების რეაბილიტაციის პროექტი (კუვეიტის ფონდი)	533,2
16	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი	4 931,5
17	სატყეო სექტორის განვითარების პროექტი	4 107,6
18	ლავჯანურჰესისა და ხრამჰესის რეაბილიტაციის პროექტი	2 839,9
19	რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია - I პროექტი (ალავერდი)	7 047,8
20	ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია - I პროექტი	7 644,0
21	მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება - I პროექტი	2 470,0
22	მიწის კადასტრისა და რეგისტრაცის სისტემის ჩამოყალიბება - II პროექტი	1 010,0
23	მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	3 170,2
24	ფოთის საზღვაო ნავსადგურის დამცავი მოლოს რეაბილიტაცია	8 867,0

მუხლი 15. სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2006 წლის ბოლოსათვის – არა უმეტეს 5 181.9 მლნ ლარით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალისა – 3 541.9 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალისა – 1 640.0 მლნ ლარით.